საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030134767798720

№ 01-145/ო **01 / აპრილი / 2020 წ.**

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) ღონისძიებების დროს შესაბამის იზოლაციაში (თვითიზოლაცია/კარანტინი) მყოფ პირებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საავადმყოფო ფურცლის ტოლფასი სამართლებრივი შედეგების მქონე ცნობის ფორმის დამტკიცებისა და მისი გაცემის პროცესის ორგანიზების შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად და „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის N281/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 8^1 მუხლის გათვალისწინებით, **ვბრძანებ:**

1. ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) ღონისძიებების დროს იზოლაციას (თვითიზოლაცია/კარანტინი) დაქვემდებარებულ პირებზე შესაბამისი ცნობის გაცემის მიზნით განხორციელდეს აღნიშნულ პირთა აღრიცხვიანობა შემდეგი წესით:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს:

ა.ა) „იზოლაციისა და კარანტინის წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-31/ნ ბრძანების შესაბამისად, იზოლაციაში (თვითიზოლაცია/კარანტინი) მოთავსებული პირების შესახებ ინფორმაციის (პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იზოლაციის ადგილი, იზოლაციის ხანგრძლივობა, მათ შორის დაწყების და დასრულების თარიღი, თვე და წელი) მიწოდება სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის;

ა.ბ) ერთჯერადად, ამ ბრძანების ამოქმედებამდე, მის ხელთ არსებული იზოლაციაში (თვითიზოლაცია/ კარანტინი) მოთავსებული პირების შესახებ ინფორმაციის (პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იზოლაციის ადგილი, იზოლაციის ხანგრძლივობა, მათ შორის დაწყების და დასრულების თარიღი, თვე და წელი) მიწოდება სამინისტროსათვის.

ბ) სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, უზრუნველყოს:

ბ.ა) იზოლაციაში (თვითიზოლაცია/კარანტინი) მყოფი პირების შესახებ ინფორმაციის (პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იზოლაციის ადგილი, იზოლაციის ხანგრძლივობა (მათ შორის დაწყების და დასრულების თარიღი, თვე და წელი) მოგროვება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და

გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებიდან „იზოლაციისა და კარანტინის წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-31/ნ ბრძანების შესაბამისად;

ბ.ბ) ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით მიღებული ინფორმაციის მიწოდება სამინისტროსათვის, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, როგორც წესი, ყოველი სამუშაო დღის ბოლოს.

გ) სამინისტროს ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველომ, უზრუნველყოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის, მიღებისთანავე, მიწოდება ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოსა და პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოსთვის.

2. იზოლაციაში (თვითიზოლაცია/კარანტინი) მყოფ დასაქმებულ პირთათვის სამინისტროს მიერ საავადმყოფო ფურცლის ტოლფასი სამართლებრივი შედეგების მქონე ცნობის (შემდგომში - ცნობა) გაცემის მიზნით:
ა) ცნობის გამცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი;

ბ) დამტკიცდეს იზოლაციაში (თვითიზოლაციაში/კარანტინში) მყოფი პირის განაცხადის ფორმა თანდართული დანართი N1 შესაბამისად (განაცხადის გაკეთება შესაძლებელია ელექტრონულად -info@moh.gov.ge-ზე მომართვით, ან, მატერიალურად, იზოლაციაში მყოფი პირის წარმომადგენლის მიერ);

გ) დამტკიცდეს სამინისტროს მიერ გასაცემი ცნობის ფორმა თანდართული დანართი N2 შესაბამისად;

დ) ცნობის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს ამ პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობის გაცემა, ამავე ბრძანების პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის ფარგლებში მიღებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე;

ე) სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველომ უზრუნველყოს ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის ფარგლებში მიღებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) ღონისძიებების დროს შესაბამის იზოლაციაში (თვითიზოლაცია/კარანტინი) მყოფ პირებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საავადმყოფო ფურცლის ტოლფასი სამართლებრივი შედეგების მქონე ცნობის ფორმის დამტკიცებისა და მისი გაცემის პროცესის ორგანიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 13 მარტის N01-98/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე